ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4510800

ნომერი: AR1681615

თარიღი : 15.05.2019

გაცემის თარიღი : 22.05.2019

გაცნობის თარიღი : 22.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქობულია პ/ნ 01011009903
- თბილისი. გუდაურის ქ. 7

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ლაქი ინვესტმენტ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405307840
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შალვა ომანაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025017170

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: ბრძანება № 4499241
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.05.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი-წყნეთი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, N 1, შპს „ ლაქი ინვესტმენტ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.20.01.069.005) მაღაზიის 15/05/2019წ. # 4499241 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2019 წლის 22 მაისიდან 2019 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით;
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
– საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
– მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი 61–ე მუხლის შესაბამისად;
– კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

· საპროექტოობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალმომარაგებისა და წყალარინების შიდა და გარე სისტემით.
• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.